გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 31

ქ. თბილისი

8 აგვისტო 2017 წელი

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის მამია ჯანჯალიას სახით და მეორეს მხრივ, შპს NEW LIFT GEORGIA ს/კ 400034486 შემდგომში „მიმწოდებელი”), წარმოდგენილი დირექტორის დავით გეგეშიძის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე - 3 მუხლის პირველი „ს[1]“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. სტანდარტები

2.1 ლიფტის ტექნიკური მომსახურება უნდა აკაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს, მომსახურება შესრულებული უნდა იყოს მაღალ დონეზე;

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 შემსყიდველის 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში შემსყიდველის ბალანსზე რიცხული ლიფტის ტექნიკური მომსახურება შესყიდვა (CPV50750000 - ლიფტების ტექნიკური მომსახურება).

3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისა და საქონლის ერთეულის ღირებულება მოცემულია დანართი N1-ის სახით, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა **1472.68 (ერთი ათას ოთხას სამოცდათორმეტი ლარი და 68 თეთრი)** ლარი.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთანდაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

6. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. N1ა

6.4 ლიფტის დაზიანებული ნაწილები უნდა შეიცვალოს ახალი სათადარიგო ნაწილებით და საგარანტიო ვადა უნდა გავრცელდეს შეცვლილ ნაწილზე არანაკლებ 3 (სამი) თვისა.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ლოჯისტიკი იოსებ ჯოლოგუა.

7.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს მომსახურების გაწევის ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი (მათ შორის ელექტრონული ფოსტის) ან სატელეფონო შეტყობინების სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგი დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით. შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება დამატებითი ანაზღაურების გარეშე, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა, გამოვლენიდან უმოკლეს გონივრულ ვადაში.

7.4 ამ მუხლის 7.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება იწარმოებს დანართში მოცემული პირობების თანახმად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადებისა და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების საფუძველზე.

8.2. მიღება-ჩაბარებაზე ხელმოწერის უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან ენიჭება სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" ლოჯისტიკს იოსებ ჯოლოგუას.

9. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

9.1ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

9.2 ანგარიშსწორება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის იწარმოებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

9.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ან ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების (მათ შორის უხარისხო მომსახურების გაწევის) გამო მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების0,2%-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გამარტივებული შესყიდვების საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №

ქ. თბილისი 08 აგვისტო 2017წელი

დანართი №1

დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ.ფასი	საერთო ფასი
ძრავის ხუფი საკისარი	ცალი	2	220	302.8
წამყვანი შკივის საყრდენი საკისარი	ცალი	1	120	165.16
კაბინის კარის ფრთის რემონტი		2	200	275.27
კაბინის კარის ამძრავი მექანიზმის აღდგენა	ცალი	1	150	206.45
პირწონის ზამბარები	ცალი	3	180	247.74
ძრავის დაშლა აწყობა		1	100	137.63
მიმმართველების გასწორება ვერტიკალში და შეზეთვა		1	100	137.63
				1472.68

მამია ჯანჯღავა

დავით გეგეშიძე

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. დასკვნითი დებულებები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება – ,,მიმწოდებელთან", ერთი – ,,შემსყიდველთან".

მ ხ ა რ ე ე ბ ი :

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია	შპს „ნიუ ლიფტ ჯორჯია"
ს.კ. 205339944	ს/კ 400034486
მის.: ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქუჩა N1ა	მის.: ქ. თბილისი, ხიზაბავრის ქ. N5
სახელმწიფო ხაზინა	თიბისი ბანკი
	ბანკის კოდი: TBCBGE 22
	ანგ. NGE49 TB 7301836020100001
დირექტორი	დირექტორი
მამია ჯანჯალია _____	დავით გეგეშიძე _____